# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 241

„30“ ივნისი 2015 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების დროებითი სარგებლობის უფლებით (იჯარა), ელექტრონული აუქციონის ფორმით, გადაცემაზე თანხმობის გაცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 24 ივნისის №25.13.739 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ელექტრონული აუქციონის ფორმით, დროებითი სარგებლობის უფლებით (იჯარით) გასცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 24 ივნისის №25.13.739 განკარგულების დანართი 1-ით განსაზღვრული უძრავი ქონება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის 24 ივნისის №25.13.739 განკარგულების დანართი 1-ით განსზღვრული პირობების შესაბამისად.

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., N6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

დანართი 1

| ლოტის # | აუქციონის ფორმა | ობიექტის დასახელება | მისამართი | საკადასტრო კოდი | ფართობი (კვ.მ) | | საწყისი წლიური საიჯარო ქირა (ლარი) | ბიჯის ოდენობა (ლარი) | სარგებლობის უფლების ვადა | საუქციონო პირობა | შენიშვნა | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | მიწა | შენობა | | | | | | |
| 1 | პირობიანი | უძრავი ქონება | თავისუფლების მოედანი №2 | 01.15.05.075.023 | | შენობა-ნაგებობა #1-ში მეორე სართულზე არსებული 4 კვ.მ ფართი დანართი 2-ის შესაბამისად | 600 | 18 | 10 წელი | ყავის აპარატის განთავსება | | |
| 2 | პირობიანი | უძრავი ქონება | ბაგრატიონის ხიდთან საკაძის მოედნის მიმართულებით მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე | 01.10.13.016.130 | 256 | | 11 700 | 351 | 5 წელი | მსუბუქი კონსტრუქციის განთავსება | | არქიტექტურის წერილი #08-8/588; დასკვნა 67 |
| 3 | პირობიანი | უძრავი ქონება | ქუჩა ლესელიძე, №166, მიმდებარედ | 01.18.03.027.009 | 455 კვ.მ-მიწის ნაკვეთიდან 15 კვ.მ, წარმოდგენილი დანართი 3-ის შესაბამისად | | 1500 | 45 | 3 თვე | ღია კაფის მოწყობა (სანაყინე) | | გამწვანების წერილი 12/15040863-25 არქიტექტურის გადაწყვეტილება #1771430 კულტურის მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წერილი #დ/13/12/14 დასკვნა 65 |
| 4 | პირობიანი | უძრავი ქონება | ქუჩა ხევძმარი, №1-ის მიმდებარედ | 01.11.12.022.019 | 1470 | | 6650 | 199.5 | 10 წელი | მსუბუქი კონსტრუქციის განთავსება | დამოუკიდებელი სამანქანო შესასვლელის მოწყობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სამსახურთან და ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან შეთანხმებით. | |